,,ჯარის ბანაკი“-ს მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები და წესი

მუხლი 1. მონაწილეთა შერჩევა

ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და პარტნიორი სახელწმიფო უწყებები უზრუნველყოფენ ბანაკის მონაწილეთა შერჩევას და სააგენტოსათვის სიებისა (ძირითადი და სარეზერვო სიები) და დოკუმენტების მიწოდებას ამ წესით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

მუხლი 2. მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები

ა) IX-XI კლასის (15-17 წლის) მოსწავლეები (სქესთა ბალანსის დაცვით);

ბ) მოსწავლე არ უნდა იყოს ნამყოფი ჯარის ბანაკში 2023-2024-2025 წლებში;

გ) მოსწავლეს უნდა ჰქონდეს ბანაკში მონაწილეობის მოტივაცია;

დ) უპირატესობა მიენიჭებათ სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი, იძულებით გადაადგილებული ოჯახის წევრ, ობოლ ან/და სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ახალგაზრდებს.

მუხლი 3. სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

სააგენტოსთვის ბანაკში მონაწილეთა ძირითადი და სარეზერვო სიების წარმოდგენა უნდა უზრუნველყონ შემდეგი დოკუმენტაციის თანხლებით:

ა) მონაწილის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) მონაწილის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა;

გ) მონაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა – ფორმა №IV-100ა;

დ) ცნობა სპეციალური სტატუსის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).